

## საქართველოს კანონი

### “სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ” საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ” საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე 2003 წელი №26, მუხლი 195) მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

- „ა) წამახალისებელი გათამაშების, ლოტოსა და ბინგოს მოწყობა (თითოეული სახეობა) – 6000 ლარი;
- ბ) სათამაშო აპარატების სალონის მოწყობა – 8000 ლარი;
- გ) ტოტალიზატორის მოწყობა – 12000 ლარი“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2007 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი